

ქ. ბათუმის ფიზიკა - მათემატიკის № 6 საჯარო სკოლა

სასკოლო გამოცდა ფიზიკაში

ტესტი №

კლასი - XI^ა

თარიღი - 27 . 06. 2014 წელი

1. 400 გ მასის სხეული ვარდება 2მ სიმაღლიდან. იპოვეთ მისი კინეტიკური ენერგია დედამიწაზე დაეარდნის მომენტში.
2. 10 დიოპტრი ოპტიკური ძალის ლინზის წინ 12,5 სმ მანძილზე მოთავსებულია სანთელი. ლინზიდან რა მანძილზე მიიღება გამოსახულება და როგორი იქნება იგი?
3. იპოვეთ სინათლის სიჩქარე წყალში, თუ 440 ტჰც სიხშირის ტალღის სიგრძე 0,51 მკმ-ია?
4. რხევითი კონტური შედგება 2 მკჰნ ინდუქციურობის კოჭასა და 800 პკფ ტევადობის კონდენსატორისაგან. იპოვეთ კონტურის საკუთარი რხევის პერიოდი .
5. სხეულმა წრეწირზე 5 წამში 20 ბრუნი შეასრულა. გამოთვალეთ ბრუნვის პერიოდი და სიხშირე.
6. ტალღის სიგრძე არის:
 - ა) მანძილი, რომელზეც ვრცელდება ტალღა.
 - ბ) უმცირესი მანძილი იმ წერტილებს შორის, რომლებიც ირხევიან ერთნაირ ფაზებში
 - გ) უდიდესი მანძილი იმ წერტილებს შორის, რომლებიც ირხევიან ერთნაირ ფაზებში
 - დ) მანძილი ტალღის წყაროსა და დამკვირვებელს შორის.
7. იპოვეთ ტვირთის მასა, რომელიც 250 ნ/მ სიხისტის ზამბარაზე 16 წამში 20 რხევას შეასრულებს.
8. თუ სინათლის სხივი გადადის წყლიდან ჰაერში, მაშინ გარდატეხის კუთხე ა) მეტი იქნება დაცემის კუთხეზე; ბ) ნაკლები იქნება დაცემის კუთხეზე; გ) ტოლი იქნება დაცემის კუთხის.



9. წრეწირზე მოძრაობის დროს სხეული 20 წამში 5-ჯერ შემობრუნდა. გამოთვალეთ ბრუნვის პერიოდი :

10. ისრით მიუთითეთ შესაბამისობა ფიზიკურ სიდიდეებსა და ერთეულებს შორის:

- | | |
|-----------------|-----------|
| • მასა - | °C |
| • სიჩქარე - | კულონი |
| • ენერგია- | წამი |
| • წნევა- | ნიუტონი |
| • ტემპერატურა - | ჯოული |
| • დრო | ვატი |
| • მოცულობა - | კილოგრამი |
| • სიმძლავრე- | მ/წმ |
| • ძალა - | პასკალი |
| • მუხტი- | ლიტრი |

